

ოქმი N1
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული
საზოგადოებრივი დარბაზის სხდომის.

2018 წელი, 22 მარტი
15.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დ.დარჩია-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: საზოგადოებრივი დარბაზის წევრები: ლ. ხინთიბიძე, ზ.ერაძე, ო.რევიშვილი, თ.ღლონტი, კ.ცერცვაძე, ლ.ტრაპაიძე, გ.ქარჩავა, ი.პაპავა, ლ.მჭავანაძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-გ.ღურჯუმელიძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე-ო.თოთიბაძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და მერიის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ დარბაზის წევრებს მოკლე ინფორმაცია მიაწოდა საზოგადოებრივი დარბაზის მუშაობის მნიშვნელობაზე და პირველ რიგში შეათანხმა მისი მუშაობის ორგანიზაციული საკითხი, კერძოდ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საზოგადოებრივი დარბაზის სხდომები გაიმართება ყოველი თვის მე-3 კვირის პარასკევს 12.00-საათზე.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 ივლისის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე

ალექსანდრე ბერიძე

გიორგი ჩაგანავა

ამ საკითხის განხილვისას საზოგადოებრივი დარბაზის წევრმა ლ.ხინთიბიძემ განაცხადა, რომ მხარს უჭერს ცვლილებების პროექტს, მაგრამ მთავარია როგორ მოხდება ამ დადგენილების ადმინისტრირება; ზ. ერადის აზრით, კარგი იქნება თუ გაითვალისწინებენ რამდენიმე ინდემწარმემ ისარგებლოს ერთი ურნით; თ. ტრაპაიძემ დასვა შეკითხვა-რამ განაპირობა ცვლილებების შეტანა?-განუმარტეს- კანონმდებლობის მოთხოვნებმა.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე

ლაშა თავაძე

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ირაკლი სირაძე

საკითხის განხილვისას +ლ.ხინთიბიძემ განაცხადა, რომ პროექტის ერთი მუხლი განსაზღვრავს კრიტერიუმებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ბენეფიციარი, მეორე კია მის გაუთვალისწინებლად იღებს გადაწყვეტილებას, რაც უხერხულობას ქმნის. ამასთან კარგი იქნება თუ დასახლების მცხოვრებთა აუცილებელ რაოდენობას დაიყვანენ 30-დან 10% -მდე.

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ალექსანდრე სურგულაძე

თემურ გიორგაძე

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0.5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის სოფელ დვაბზუში პარკის მოწყობის მოთხოვნის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა გოგოტიშვილი

მერის მოადგილემ ო.თოთიბაძემ მოკლედ ისაუბრა ელექტრონული პეტიციით გათვალისწინებული საკითხების მოგვარების მიზნით „მერიის მიერ გაწეულ საქმიანობაზე.

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0.5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის „ქ.ოზურგეთში გეოგრაფიული ობიექტისთვის (მოსკოვის ქუჩა) სახელწოდების

გადარქმევისა და მისთვის ბენიამინ ჩხიკვიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

საზოგადოებრივი დარბაზის წევრმა ზ.ერაძემ განაცხადა, რომ ამ ქუჩის მცხოვრებთა 80% წინააღმდეგია სახელის შეცვლის.

7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0.5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის ქალაქ ოზურგეთში მოსკოვის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის მოთხოვნის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: რევაზ ხუნდაძე

ზ.ერაძის განცხადებით, ამ პეტიციაში მოყვანილი საკითხის გადაწყვეტას მხარს უჭერს ქუჩის ყველა ოჯახი, 800 -მდე ხელმოწერაა შეგროვებული.

8. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხადაჭერის პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ოსიკო თოთიბაძე

ლავრენტი ბიგვავა

საკითხის განხილვისას, ლ.ხინთიბიძემ განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა, თითოეულ პროექტზე დატანებული იყოს დაფინანსების კონკრეტული რაოდენობა, ამასთან როგორ მოხდება სარიტუალო დარბაზის მართვა?

9. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის დირექტორის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ინწკირველი

გადაწყვიტეს:

სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებული საკითხები გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ წარდგენილ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო